

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 5

13 ივნისი 2016 წელი

ქ. ბათუმი  
12:00 საათი

**სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** გუგული დუაძე, თამარ ხოზრევანიძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მუჯვანაძე, მაკა ლომაძე, ირაკლი გვარამია, შორენა ჭალაიძე, კახაბერ ჯაიანი, ფიქრია აფაქიძე, მამუკა ჯაში და ნუგზარ ბაჯელიძე.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო პერიოდში უსკოს 7 წევრს ნიშნავენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები, რომელთა გადაწყვეტილებაც უსკოს წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს უსკოს არჩევნების დანიშნიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში. არჩილ მიქელაძემ, კომისიას გააცნო პ/გ „თავისუფალი დემოკრატები“-ს მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი, ქალბატონი შორენა ჭალაიძე (უსკოში რეგისტრაციის №01-26/28 თარიღი 10/06/16 წელი), პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი, ბატონი კახაბერ ჯაიანი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/29 თარიღი 10/06/16 წელი), პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი, ქალბატონი ფიქრია აფაქიძე, (უსკოში რეგისტრაციის №01-26/32 თარიღი 11/06/16 წელი), პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი, ბატონი მამუკა ჯაში (უსკოში რეგისტრაციის №01-26/34 თარიღი 11/06/16 წელი) და პ/გ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი, ბატონი ნუგზარ ბაჯელიძე (უსკოში რეგისტრაციის №01-26/37 თარიღი 11/06/16 წელი), რის შემდეგაც, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

## **დღის წესრიგის პროექტი:**

1. დადგენილება - ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ;
2. განკარგულება - საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ;
3. განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;
4. განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;
5. სხვადასხვა.

**აზრი გამოთქვას:** კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 12;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

### **დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**

1. დადგენილება - ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ;
2. განკარგულება - საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ;
3. განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;
4. განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

#### **1. დადგენილება**

**ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ.**

#### **მოისმინეს:**

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში არ არის განსაზღვრული საარჩევნო პერიოდი შესაბამისად, უსკო უფლებამოსილია, დადგენილებით

განსაზღვროს საარჩევნო კანონმდებლობით და სხვა საკანონმდებლო აქტებით გაუთვალისწინებელი საარჩევნო და სხვა პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები, მან აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის თანახმად, დგინდება (განისაზღვრება) საარჩევნო პერიოდის დასაწყისი და მისი დასასრული.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 12;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

**დადგენილება მიღებულია:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1.** საარჩევნო პერიოდი მოიცავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების დღიდან, ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთს.

**მუხლი 2.** ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**2. განკარგულება**

საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი.

**აზრი გამოთქვას:** კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

*სხდომაზე გამოცხადდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი - ნუგზარ ბაჯელიძე*

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 13;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

**განკარგულება მიღებულია:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 47-ე მუხლის მე-6 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ, ასევე საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რეგისტრირებულ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებლის/დამკვირვებელთა შესახებ, უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარსადგენი ინფორმაციის შინაარსი და ფორმა (ანკეტა) დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

(თან ერთვის)

### **3. განკარგულება**

**ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.**

**მოისმინეს:**

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი წარადგინა პრესის, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების მოწმობების ფორმები და კომისიას შესთავაზა, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში „საერთაშორისო დამკვირვებლის მოწმობა (ფორმა №6-07.01.01.)“ სიტყვა „მოწმობის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „უსკომი“, ხოლო ფორმებში წინა და უკანა გვერდი წარმოდგენილი იყოს ერთი გვერი, ასევე უცხოენოვან ჩანაწერში ამოღებული იქნას უსკოს ლოგო და დარჩეს მხოლოდ ერთი ლოგო.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ, სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების (შესწორებების) გათვალისწინებით.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

**განკარგულება მიღებულია:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) საერთაშორისო დამკვირვებლის მოწმობა უსკოში (ფორმა №6-07.01.01);

ბ) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების სააკრედიტაციო ბარათი (ფორმა №6-07.01.02);

გ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა უსკოში (ფორმა №6-07.01.03).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

(თან ერთვის)

#### 4. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. და კომისიას შესთავაზა, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში „პარტიის ბლოკის წარმომადგენლის მოწმობა“ სიტყვა მოწმობა“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „უსკოში“.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ, სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების (შესწორებების) გათვალისწინებით.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

**მიღებულია განკარგულება:**

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 62-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობა უსკოში (ფორმა №6-07.02.02);

ბ) საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მოწმობა (ფორმა №6-07.03.02).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 9 ივნისის N5 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**კომისიის თავმჯდომარე**

**არჩილ მიქელაძე**

**კომისიის მდივანი**

**თამარა ხოზრევანიძე**